საქართველო

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება №7

2010 წლის 19 თებერვალი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულება დანართის სახით (თან ერთვის).
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე..

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი წვერავა/

დანართი

დამტკიცებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2010 წლის 19 თებერვლის
№7 დადგენილებით

საკრებულოს თავმჯდომარე: /გ. წვერავა/

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ,,გარემოს დაცვის შესახებ“, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, ,,არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ სხვა ნორმატიული აქტებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და გამგებლის ბრძანებებით.

3. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. სამსახურს აქვს ბეჭედი, შტამპი, ბლანკი სახელწოდების აღნიშვნით.

5. სამსახური ანგარიშვალდებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის წინაშე.

6. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.N23

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1.სამსახურის ძირითადი ამოცანაა ზედამხედველობის განხორციელება:

ა) მშენებარე შენობა–ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების კონსტრუქციების საპროექტო ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ–სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე;

ბ) ქ. ლაგოდეხისა და სოფლების იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივ ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე;

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის ინსოლაციისა და დასუფთავების წესების განმსაზღვრელი ნორმების დაცვაზე:

დ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე;

ე) მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სამსახურის ფუნქციებია:

ა) არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების კანონის დარღვევით მიმდინარე ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტის შეჩერება ან/და დემონტაჟი, მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენება:

ბ) კონტროლის დაწესება სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა–გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების ჩატარების შემდეგ ობექტის კეთილმოწყობა–მოწესრიგება და სხვა.), დაზიანებული ქუჩების და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;

გ) გარე რეკლამის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე;

დ) კონროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმო–დაწესებულების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა–ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა, ჯიხურების, ჭების, საქალაქო მეურნეობის და სხვა ელემენტების ტექნიკურ–ესთეტიკურ მდგომარეობაზე;

ე) უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, მანქანა–დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება:

ვ) კონტროლი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ ხმაურის, ინსოლაციისა და დასუფთავების განსაზღვრული წესების დაცვაზე, სანიტარულ–ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე;

ზ) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პროფილაქტიკური სანიტარულ–ჰიგიენური ღონისძიებების შემუშავება:

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის, მიწის ნაკვეთების არამიზნობრივად გამოყენების და მიწის დაცვის წესების შეუსრულებლობის ფაქტების გამოვლენა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ღონისძიებების გატარება:

ი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისგებლობის ზომების გამოყენება;

კ) ახლად აშენებული, რეკონსტრუქციული ობიექტების, დამთავრებული სამუშაოების მიმღებ კომისიებში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 3. სამსახურის უფლებები და ვალდებულებები

1. სამსახური უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესითგანახორციელოს კონტროლი მის საზედამხედველო ობიექტში არქიტექტურულ–სამშენებლო ნორმების დაცვასა და შესრულებაზე: შემოწმების მიზნით შევიდეს ობიექტის ტერიტორიაზე, მოითხოვოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი ქვემდებარეობისა.

ბ) განსაზღვროს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები, კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს მიწერილობა, დააწესოს კონტროლი მის შესრულებაზე.

გ) აწარმოოს კონტროლი საქალაქო მეურნეობის, კეთილმოწყობის, იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, დასუფთავების ღონისძიებებზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე;

დ) დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა–ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ;

ე) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მოთხოვნით ან მისი თანხმობის საფუძველზე გამოიკვლიოს საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართი, მშენებლობის მიმდინარეობის დროს დარღვევის გამოვლენისას შეადგინოს მიწერილობა ხმაურის ინსალაციის და დასუფთავების დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის აღმოფხვრის შესახებ.

ვ) გასცეს ჰიგიენური დასკვნა ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) საპროექტო–ტექნიკურ დოკუმენტაციაზე;

ზ) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი ზომები:

თ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის გასცეს მიწერილობა პროექტის სამშენებლო ნორმების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ–სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ სამუშაოებზე დადგენილი ორგანიზაციულ–სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე:

ბ) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის მიერ საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, იერსახის, გარე რეკლამის და მიწის რესურსების მართვისა და განკარგვის საკითხებზე მიღებული ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტების შესრულებაზე:

გ) აწარმოოს კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ადგილებით შეზღუდვაზე; ქუჩებზე, მაგისტრალებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა–გადაკეთებაზე, სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით გადაკვეთაზე ან

საავტომობილო მოძრაობის ნაწილობრივ შეზღუდვაზე, ჭაბურღილების დაყენებაზე, შენობათა საძირკველების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაზე, სამშენებლო პოლიგონების ქვაბულებიდან მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრელებზე გატანაზე და აღნიშნული სამუშაოების დადგენილი წესებით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე;

დ) აწარმოოს კონტროლი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასუფთავების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო–სამეურნეო ნარჩენების გადამუშავების, ჩამარხვისა და უტილიზაციის დროს სანიტარული ნორმების დაცვაზე;

ე) განახორციელოს კონტროლი ინფექციური მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების პროფილაქტიკისთვის სანიტარულ–ჰიგიენური და სანიტარულ–ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე;

ვ) აწარმოოს ზედამხედველობა ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განაშენიანებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე ან დაზიანებაზე.

მუხლი 4. სამსახურის მართვა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სპეციალისტისაგან.

2.სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3.სამსახურის უფროსი კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას.

ბ) სამსახურის საქმიანობაზე ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგებელს;

გ) ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

4. სამსახურის სპეციალისტი:

ა) ასრულებს ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.

ბ)ასრულებს სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით ან გამოსაცდელი ვადით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ატარებს საკონკურსო საატესტაციო კომისია,რომლის თავმჯდომარესაც ნიშნავს სააკრებულო.

3. კონკურსი ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს და შტატების დამტკიცების წესი

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო, ხოლო საშტატო ნუსხას ამტკიცებს გამგებელი.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

1.მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები.

2. ისარგებლონ მათი მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტით, საინფორმაციო და სხვა მასალით.

3. დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

4. დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნიკით სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

5. ისარგებლონ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

მუხლი 8. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მოვალეობები

1.ზუსტად შეასრულონ და დაიცვან ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობანი.

2. დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები.

3. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი.

4. იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად.

5. განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები.

6. გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

7. კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას საიდუმლო, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასათან დაკავშირებით.